



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030195762714121

№ 10-9/თ

08 / თებერვალი / 2021 წ.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ

„2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N828 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული პროგრამების მიზნებისთვის, ამავე დადგენილებით დამტკიცებული „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების“ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 29 იანვრის N01/1224 (N10/457; 26.01.2021წ.) წერილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების და „სსიპ – ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 18 აგვისტოს №01-91/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს:

ა) საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N828 დადგენილებით (შემდგომში- დადგენილება) დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლების მიერ, საანგარიშო პერიოდში, სსიპ – ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) წარმოსადგენი ანგარიშგების ფორმები (დანართები: N1- N28; N30 - N40);

ბ) „2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ ფარგლებში, საანგარიშგებო დოკუმენტაციის (შემთხვევათა რეესტრი) შევსების ინსტრუქცია (დანართი N29).

2. ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართების მიხედვით:

ა) მიმწოდებლის მიერ საანგარიშგებო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს 2021 წლის 1 იანვრიდან გაწეულ სამედიცინო მომსახურებაზე;

ბ) მიმწოდებლის მიერ 2021 წლის იანვრამდე გაწეულ სამედიცინო მომსახურებებზე საანგარიშგებო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს 2020 წლის 22 იანვრის N04-34/თ ბრძანებით დამტკიცებული დანართების მიხედვით.


3. ბრძანების შესრულების კოორდინაცია დაევალოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის უფროსს (კ. ჩხარტიშვილი).

4. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (მ. ქვარაია) უზრუნველყოს ამ ბრძანების და მისი დანართების სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული

ორგანოებისათვის გაგზავნა, აგრეთვე, საჯაროობის მიზნით, მათი გამოქვეყნება სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამვდასმულია
ელექტრონულად 

თამარი მელიქიძე